



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### თალთების არქეოლოგიური ძეგლები

თალთების არქეოლოგიური ძეგლები, სხვადასხვა დროის (ძვ. წ. III ათასწლ. და ახ. წ. I-IV სს.) ნამოსახლარი და სამაროვანი სოფ. არანისის აღმოსავლეთით, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, თიხის კარიერის ტერიტორიაზე (დუშეთის მუნიციპალიტეტი). 1981 გათხარა ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტის არქეოლ. კვლევის ცენტრის ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. რამიშვილი). 2-2,5 მ სიღრმეზე გამოვლინდა ადრეებრინჯაოს ხანის (ძვ. წ. III ათასწლ.) ნამოსახლარის ნაშთები. ქვედა, შავმიწანიადაგიან ფენაში მრავლად იყო თიხის ჭურჭლის ნატეხები და ნავისებრი ხელსაფეკავის ფრაგმენტები; ზედა ფენა შეიცავდა I-II სს. ნამოსახლარის ნაშთებს. გაითხარა 1 ოთახი (ფართ. დაახლ. 12 მ<sup>2</sup>), რ-ის კედლები ნაგები იყო რიყის ქვის საძირკველზე ამოყვანილი ალიზის ბლოკებით. გამაგრებული ყოფილა ხის მსხვილი სარებით, რ-იც ხანძრის შედეგად დაინვა. ნამოსახლარზე აღმოჩნდა 11 ქვევრი, თიხის ჭურჭლისა და გვერდებაკეცილი კრამიტის ნატეხები, ორმოები, რ-ებშიც საოჯახო ნარჩენები იყო. გაითხარა მცირე ჯგუფებად სხვადასხვა დონეზე (0,4-1,4 მ) განლაგებული 20 სამარხი (18 ორმოსამარხი, 1 ქვევრის ნატეხებით გადახურული ორმოსამარხი, 1 ქვევრსამარხი). ქვედა დონის სამარხებში (I-II სს.) მიცვალებულები ესვენენ მკვეთრად მოხრილი კიდურებით, მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, თავით ჩრდ.-დას-კენ. ჩატანებული ჰქონდათ წითლად ანგობირებული თიხის ხელალები, ჯამები. ზედა დონის სამარხებში (III-IV სს.) მიცვალებულთა ჩონჩხები ისე მკვეთრად არ იყო მოხრილი, თავი უმეტესად დას-კენ ჰქონდათ. ერთ შემთხვევაში მიცვალებული ზურგზე იწვა, მხოლოდ ფეხები ჰქონდა მოხრილი. ჩატანებული ჰქონდათ თიხის ხელალები, სასმისები, ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები, საყურეები, აბზინდები და სხვ.

მასალა ინახება დუშეთის არქეოლ. საცავში.

აღიღ.: რამიშვილი რ. მ., ჯორბენაძე ვ. ა., გლonti მ. გ. და დრ.,  
Работы Жинвальской археологической экспедиции, კრ.: Полевые  
археологические исследования в 1981 году, Тб., 1984.

**ც. ნობაქიძე**

---